

## ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები

თემურ ჯაგოდნიშვილი, ოთარ შონია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

განიხილება ინფორმაციული უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები. „ინფორმაციული იმპერიალიზმის“, „ინფორმაციული ბლოკადის“, „ინფორმაციული სიჭარბის“ მოვლენებიდან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით. აღინიშნება ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის – „ინფორმაციული შეკავების“ აქტუალობა და მისი რეალიზების სირთულეები.

**საკანძო სიტყვები:** ინფორმაცია. საფრთხე. ინფორმაციული საფრთხე. ინფორმაციული სიჭარბე.

### 1. შესავალი

ინფორმაციული ტექნოლოგიების მრავალფეროვნებისა და ინფორმაციის გავრცელების (მიწოდების) შესაძლებლობათა უსაზღვროების მიუხედავად, ინფორმირების უნივერსალურ ფორმად აღამიანის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციების უნარი რჩება. ამის მიზეზი, ცხადია, ის არის, რომ ინფორმაცია შეტყობინებაა, შეტყობინების ბუნებრივი ფორმა-ტექსტია, ინფორმაცია ტექსტის სახით ფუნქციონირებს კომუნიკაციის პროცესი კი ტექსტის გადაცემა-მიღებაა. ეს ნიშნავს, რომ ინფორმაციის გავრცელების უნივერსალური ფორმა ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციებია, რადგან ისინი, ერთი მხრივ, ინფორმაციის ტექსტში შთაბეჭდვას გულისხმობს, მეორე მხრივ, ადრესატზე ადრესანტის ინფორმაციულთან ერთად, პიროვნულ (ინტენციური, ემოციური, ექსპრესიული) ზემოქმედებას.

### 2. ძირითადი ნაწილი

კომუნიკაციების თეორია დღეს კომუნიკაციის პროცესში „ადრესანტ-ადრესატის“ რთულ ურთიერთდამოკიდებულებაზე საუბრობს. აქ იგულისხმება ინფორმაციის გადაცემისა და მიღების როგორც სემანტიკური (შინაარსობრივი), ისე შემეცნებით-ფსიქოლოგიური თავისებურებანი.

ინფორმაციის შექმნა-გადაცემის პროცესი რთული კოგნიტიური მდგენელებისა და ეტაპების ერთიანობაა. აღქმა გააზრების, გათავისების აზროვნებით – გონით ოპერაციებთან ერთად, ინფორმაციის შინაარსის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკაციის მონაწილეთა ინტენცია, ემოცია, ექსპრესია, დამოკიდებულება ინფორმაციისადმი.

ინფორმაციის შემქმნელი და კომუნიკაციის ინიციატორი ადრესანტია, თუმცა ამ პროცესში მისი დომინანტობა აბსოლუტური მაინც არ არის. მართალია, ინფორმაციის გავრცელება (გადაცემა), მიზანდასახულობის მიუხედავად, ინტელექტუალური ინტერვენციის პროცესია, ადრესანტი ადრესატის ცნობიერებაზე, ინტელექტსა და მოქალაქეობრივ-პიროვნულ პოზიციაზე ზემოქმედება-ზეგავლენას და მის შეცვლას ისახავს მიზნად, მაგრამ ადრესანტი იძულებით მაინც უწევს ანგარიშს ადრესატის ინტელექტუალურ, კოგნიტიურ შესაძლებლობებს და მოცემული კონკრეტული ინფორმაციის გააზრება-გათავისების ემოციურ, ექსპრესიულ, ფსიქოლოგიურ მოტივირებულობას. ამ ანგარიშგაწევის ხარისხის (ანუ დონეების) შესატყვისად იგი აკონკრეტებს და აზუსტებს როგორც თავად ინფორმაციის შინაარსს, ისე საკუთარ დამოკიდებულებას ამ შინაარსისადმი და მომენტების გათვალისწინებით ქმნის ინფორმაციის ტექსტს. ასე რომ, კომუნიკაციის პროცესში ადრესატი არ წარმოადგენს ზემოქმედების პასიურ ობიექტს. ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემათა გადაწყვეტაში ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, როგორც „ინფორმაციული შეკავების“ ერთ-ერთ ფსიქოლოგიურ საფუძველს.

„ინფორმაციული შეკავება“ დღეს ინფორმაციული უსაფრთხოების ერთ შედარებით ეფექტურ კონცეფციად ითვლება. მართალია, ეს კონცეფცია ინფორმაციული ზემოქმედების ობიექტზე (უპირატესად მასობრივზე) პრევენციულ-აქციურ მოქმედებებს უჭერს მხარს, მაგრამ ადრესატის (მათ შორის მასობრივის) ფსიქოლოგიური პოზიციის გაუთვალისწინებლად ვერანაირი აქცია-პრევენცია ვერ იქონიებს სასურველი ხარისხის ზეგავლენას. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კლასიკურად მყარი ფსიქიკის ადამიანებიც კი ჩვეულებრივ, ეჭვით ეკიდებიან თავსმოხვეულ ინფორმაციას, ხოლო მისი ძალდატანებითი ასპექტების შემჩნევის შემთხვევაში სკეპსისი და უნდობლობა თანდათან უძლიერდებათ, ბოლოს კი პოზიციად (ცხადია, ინფორმაციისადმი უარყოფით პოზიციად) უყალიბდებათ. ეს კომუნიკაციური მოვლენა თანაბრად ვრცელდება როგორც ინფორმაციულ საფრთხეზე (ინტერვენციაზე), ისე მისგან თავდაცვაზე. ამის მიზეზი, ცხადია, ის არის, რომ ინფორმაცია ერთდროულად ზემოქმედების იარაღიც არის, თავდაცვისაც, რადგან თავისი არსით ბუმერანგულია. ხოლო მოცემულ შემთხვევაში თავის როლს თამაშობს კლასიკური პრინციპი – პრობლემის გადაჭრის პირობა მისი მიზეზის ცოდნაა, ანუ ინფორმაციული უსაფრთხოების პრინციპებისა და სისტემის შემუშავება ინფორმაციულ საფრთხეთა ტიპოლოგიის გააზრებას საჭიროებს.

ინფორმაციული ზემოქმედების ყველაზე ტიპური ფორმებია „ინფორმაციული იმპერიალიზმი“ და „ინფორმაციული ბლოკადა“, ამასთან განსაკუთრებული სიმძვრით მაშინ გამოირჩევა, როცა ინფორმაციულ-ინტელექტუალურს ეკონომიკური ინტენციაცი ემატება. აქედან პირველი ფორმა საინფორმაციო რესურსების დიდი ნაწილის მონოპოლიზებასა და საინფორმაციო ბაზარზე დიქტატისკენ მისწრაფებას გულისხმობს, ხოლო მომსახურების მეორე ფორმა – ინფორმაციული ბლოკადა მოწინააღმდეგის ინფორმაციული ზემოქმედებისაგან თავდაცვითი სისტემის აგებას, მისი გადაფარვის ან მოშლის მიზნით. თუმცა ეს მექანიზმი უფრო ინფორმაციული ურთიერთობის მასშტაბურ – სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების – დონეზე მუშაობს, მაგრამ პრინციპულად პიროვნებათშორის ურთიერთობებზედაც შეიძლება გავრცელდეს. უკვე აღინიშნა, რომ ადრესატი ინფორმაციასთან (ანუ ახალ ცოდნასთან) ერთად ამ ინფორმაციისადმი ადრესანტის დამოკიდებულებასაც ეცნობა და თავის მიმართებას ამ ყველაფრის გათვალისწინებით აყალიბებს. ასე რომ, ადრესატამდე მიღწეული ინფორმაცია შედგება ინფორმაციის ტექსტისა და ადრესანტის დამოკიდებულებისაგან (რაც მისი ემოცია-ექსპრესიით გადაიცემა).

კომუნიკაციის პროცესში ადრესანტის დამოკიდებულება ინფორმაციის გადაცემაში (გავრცელებაში) არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობს. მეტყველების ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით ამ დამოკიდებულების ანალიზის საფუძველზე ინფორმაციის ინტენციის (გამიზნულობის) არა ერთი პარამეტრის ამოცნობა ხდება. სესაძლებელი (მათ შორის სანდობასაც კი!) ამას კი გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩვეულებრივ ადამიანს უჭირს რეაგირება უხილავ ზემოქმედებაზე, მით უფრო მაშინ, როდესაც ინფორმაცია ჰუმანისტურ, კეთილგანწყობით ფრაზეოლოგიაშია შთაბეჭდილი და ინტენცია შენიღბულია.

აქედან გამომდინარე, ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციაში, მის სისტემურ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს ადრესანტის ინტენციის ამოცნობა – გააზრებას. ეს პროცესი კი, რა თქმა უნდა, ინფორმაციის ტექსტის თანმხლები ემოცია-ექსპრესიის ანალიზს უნდა დაემყაროს. ამასთან იგი საკმაოდ რთულია და ზეპირი და წერითი კომუნიკაციის დახმარებით წყდება.

ინფორმაციული საფრთხის ერთ-ერთ ქმედით სახეობად გვესახება მოვლენა, რომლის აღსანიშნადაც შემოგვაქვს „ინფორმაციული სიჭარბის“ ცნება, რომლისაგან თავდაცვა ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალურ პრობლემებს უნდა მიეკუთვნოს. „ინფორმაციულ სიჭარბეში“ ვგულისხმობთ:

- ინფორმაციის ჭარბ დეტალიზაციას (ფაქტის, მოვლენის ისეთი დეტალებით გაჯერებას, იმგვარ კომენტირებას, რომელთა შედეგად ადრესატს ინფორმაციის ინტენციისადმი კაპიტულანტური განწყობილება უყალიბდება);

- ადრესატის დამოკიდებულების შთაბეჭდვას ინფორმაციაში და მისი გამჟღავნების ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს;

- ინფორმაციის ქვეტექსტურ დონეს, რომელიც ინფორმაციულ ან სხვა სახის საფრთხეების შემცველია როგორც კონკრეტულად ადრესატისათვის, ისე მთლიანად მოცემული საზოგადოებისათვის;

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ ინფორმაციის სხვადასხვა ასპექტების გავრცელებას (სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირება) და ამით ადრესატის დეზინფორმირებას, ინფორმაციის საერთო შინაარსის გაურკვევლობის განცდის გაჩენით მისი კაპიტულანტური პოზიციის გამოკვეთისათვის ხელშეწყობას.

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ინფორმაციის საფრთხეთაგან ერთ-ერთი მის ზღვარგადასულ დეტალიზებას („გადავსებულობას“) უკავშირდება. აქედან გამომდინარე ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინფორმაციის გადაცემის (გავრცელების) თანამედროვე სისტემების კრიტიკულ გააზრებას უნდა დაემყაროს. ამ პრინციპში გარკვეული როლი, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეასრულოს ადრესატის დამოკიდებულებამ ინფორმაციის ტექსტისადმი, ანუ ამ ტექსტის ანალიზმა. ტექსტის ანალიზი კი პროცესუალურად უნდა დაემყაროს შემდეგ მომენტებს:

- ინფორმაციის ტექსტში შინაარსობრივ-პრობლემური თვალსაზრისით მთავარისა და მეორეხარისხოვანის გამორჩევას;

- ადრესანტის ინტენციის ამოცნობას წერიითი მეტყველების ფუნქციური სტილის ანალიზის საფუძველზე;

- ინფორმაციის წყაროთა გადამოწმებას.

ინფორმაციული ტექსტში ძირითადი (მთავრის) და მეორეხარისხოვანის რკვევა უნდა დაეფუძნოს ადრესატის ბაზურ ცოდნას. ამაში იგულისხმება ვერბალური კომუნიკაციის უმთავრესი პრინციპის მოთხოვნა-კომუნიკაცია უთუოდ ემყარება გარკვეულ ბაზისურ, ფონურ, ფრეიმულ ცოდნას, რომელიც საერთოა კომუნიკაციური პროცესის მონაწილეთათვის (ადრესანტ-ადრესატისათვის). ნებისმიერი ახალი ინფორმაცია ადრესატის ენობრივ ველში, (საბაზისო ცოდნაში) შეტანილი ახალი ცოდნაა, რომლის გაცნობიერება მხოლოდ ამ საბაზისო ცოდნაზე დამატებით არის შესაძლებელი. აბსოლუტურად უცხო ინფორმაცია ადრესატისათვის ბოლომდე გაუცნობიერებელი დარჩება. იგი სწორედ ამ საბაზისო ცოდნით ცნობიერება. ამგვარი ანალიზის უნარი კი ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ კონკრეტულ საშუალებად წარმოგვიდგება.

ადრესანტი ინტენციის ამოცნობა ინფორმაციის ვერბალური ფორმით (მეტყველებით, სმენით) იოლია, ასევე ადვილია ამგვარი მიღებული ინფორმაციის ადრესატისაგან მიმართების დამყარება. რაც შეეხება ნაწერ ტექსტში შთაბეჭდილი ემოცია-ექსპრესიისა და ამით ადრესანტის ჩანაფიქრის ამოცნობას, გადამწყვეტ როლს შეასრულებს ადრესატის ინტელექტი და ტექსტის ლინვისტიკისა თუ ფუნქციური სტილისტიკის საკითხთა ცოდნა.

ინფორმაციული უსაფრთხოების, მისი ტექსტის ანალიზის საფუძველზე უზრუნველყოფის გზა, რომელიც ინფორმაციის წყაროთა გადამოწმებას გულისხმობს, თანამედროვე ინფორმაციული სისტემების, ტექნოლოგიების ფონზე ყველაზე რეალური და ხელშესახები შედეგების მომტანად უნდა ჩაითვალოს. წყაროები ნებისმიერ ფაქტსა და მოვლენაზე იმდენია და იმდენად მრავალფეროვანი, რომ მასობრივი ინფორმაციის სისტემაში უკვე კარგა ხანია ინფორმაციის ტექსტებში მტკიცების ტენდენციათა ნაცვლად გადამოწმების პრინციპებმა გაიღვა ფესვები. მაგალითად, ამერიკელი ექსპერტებს დაფიქსირებული აქვთ, რომ „დღეს ფაქტები ადვილად მოპოვებადი, ხელახლა შეფუ-

თული და მიზანშეცვლილი მოხმარების საგანი გახდა. დღეს 24-საათიანი ახალი ამბების ეპოქაში, ჟურნალისტები მეტ დროს უთმობენ ისეთი რამის ძიებას, რაც შემდეგ შეიძლება არსებულ ახალ ამბებს დაუმატონ“. ასეთ ვითარებაში, ცხადია, რომ ინფორმაციის რიგით მოძიებებელსაც კი ეძლევა ინფორმაციის სანდოობის გადამოწმების შესაძლებლობა, ამით ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისაც. ასეთ შესაძლებლობებს უქმნის მას ინტერნეტი, რადიო-ტელე გლობალური ქსელები და ა. შ. თანამედროვე დონეზე გლობალური საინფორმაციო სისტემების განვითარებას არსებითი (ფუნდამენტური) ცვლილებები შეაქვს „ინფორმაციული იმპერიალიზმის“ მოვლენასა და მისი ფუნქციონირების შესაძლებლობებში.

წყაროების მრავალფეროვნება და მათი ხელმისაწვდომობა. ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე მარტივი ცხადი, რეალური შედეგების მომტანი გზაა, ოღონდ ადრე-სანტისაგან იგი მაინც მოითხოვს კონკრეტულ ანალიზს – ინფორმაციის წყაროთა ანალიტიკურ დამუშავებას და შინაარსობრივ – პრობლემურ გადამოწმებას. მართალია, თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფესიული სტანდარტები ასუსტებს გადამოწმების ტრადიციულ მეთოდებს, მაგრამ მიზეზი მისი გამოუსადეგობა კი არაა, არამედ სწორედ წყაროთა მრავალფეროვნება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფი ტექნოლოგიების შესაძლებლობათა მასშტაბურობა.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე ორდინალური საშუალებაა ინფორმაციაზე უარი, კომუნიკაციის შეწყვეტა. თუმცა ეს მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც ინფორმაცია არა მხოლოდ ჭარბია, დეტალებით გადატვირთული, არამედ ადრესატისადმი ამკარა აგრესიასაც შეიცავს. აგრესიის „გაშიფვრა“, ცხადია, ინტონაციური ტონალობის გაცნობიერებით ხდება, თუ კომუნიკაცია უშუალოდ და ვერბალური (არავერბალური ასპექტების თანაარსებობით), ან წერილობით ტექსტის ანალიზით.

თანამედროვე საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიების, ტექნიკური საშუალებების გლობალურობა, ხელმისაწვდომობა ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშემწყობ გარემოსაც აყალიბებს და იმავდროულად ამ უსაფრთხოები დაცვას კიდევაც ართულებს, რადგან, როგორც უკვე ითქვა, პრობლემა თავისი არსით ბუმერანგულია. მთავარი კი ის არის, რომ მაჟამად ადამიანები უფრო ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების მიღწევებით არიან მოხიბლულნი და მათით შექმნილი კომფორტით ნებივრობენ, ნაკლებად ფიქრობენ ინფორმაციის კონფიდენციალურობის მდგომარეობაზე, თუნდაც პერსონალური ინფორმაციის დაცულობაზე. ამ მიმართ ლებით საზოგადოებას თუ რაიმე აშფოტებს, ინფორმაციის დაცვის ტექნიკურ შესაძლებლობათა სრულყოფაა, თავად ინფორმაციისაგან თავდაცვა, ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ფიქრი ნაკლებად აღელვებს. მაგრამ აღნიშნულ მცდელობათა წარუმატებლობები ხაკერების მიერ შესაძლებლო ინფორმაციული ბანკების „გატეხვის“ უამრავი და დიდად დამაფიქრებელი ფაქტებითაც ცხადია.

ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს შორის, ბუნებრივია, ინფორმაციული საფრთხეებისაგან ადამიანის გონების დაცვაა, მისი აზროვნების, შემეცნების მანქურთიზაციისაგან დაცვის უზრუნველყოფაა. ამდენად, ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემების კვლევა და მყარი ტექნოლოგიური სისტემის შექმნა არა იმდენად დღევანდელის იმპერატივია, რამდენადაც ხვალისა, რადგან მასზე გადის გლობალიზაციური საზოგადოების ადამიანის პიროვნული თავისუფლება.

### 3. დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებრიობას ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების ინფორმაციული შესაძლებლობების მასშტაბურობამ და მრავალფეროვნებამ, რაც მთავარია, რიგითი მომხმარებლის დონეზე ხელმისაწვდომობამ, სიკეთესთან ერთად დიდი საფრთხეც მოეტანა. ინფორმაციული საფრთხე დაკავშირებულია მის უარყოფით ზეგავლენაზე როგორც ადამიანზე (მანქურთიზაცია), ისე საზოგადოებასა და მთლიანად სახელმწიფოზე. დღეისათვის ინფორმაციული უსაფრთხოების პრობლემები ნაკლებადაა გაცნობიერებული. შესაბამისად ჯერ-ჯერობით არ არსებობს აღიარებული ეფექტური საშუალებები მათგან ადამიანების, საზოგადოების, სახელმწიფოს დასაცავად.

### ლიტერატურა:

1. Манойло А.В., Петренко А.И., Фролов Д.Б. Государственная информационная политика в условиях информационно-психологической войны. М., 2007
2. კოვაჩი ბ., როზენსტილი ტ. ჟურნალისტიკის ელემენტები. თბ., 2006
3. ჩოგვაძე გ., გოგიჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., შეროზია თ., შონია ო. მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება, თბ., სტუ. 2001
4. ჯაგოდნიშვილი თ., ჯაგოდნიშვილი ი. ვერბალური კომუნიკაციები. სტუ. თბ., 2009.

### PROBLEMS OF INFORMATION SAFETY

Djagodnishvili Temur, Shonia Otar  
Georgian Technical University

### Summary

The basic problems of information safety are examined considering the threats caused by the phenomena of „information imperialism“, „information blockade“, „information super saturation“. The concepts actuality of „information restraining“ and the complexities of its realization are also noted.

### ПРОБЛЕМЫ ИНФОРМАЦИОННОЙ БЕЗОПАСНОСТИ

Джагоднишвили Т., Шония О.  
Грузинский Технический Университет

### Резюме

Рассматриваются основные проблемы информационной безопасности с учетом угроз, проистекающих от явлений „информационного империализма“, „информационной блокады“, „информационной перенасыщенности“. Отмечается актуальность концепции „информационного сдерживания“ и описываются сложности ее реализации.